ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 231

"8" სექტემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. №10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.009.027) შპს „ვაინ რუმისთვის" (ს/ნ: 404550703) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. №10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.009.027) შპს „ვაინ რუმისთვის" (ს/ნ: 404550703) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 12 აგვისტოს №20.898.1112 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. № 10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.18.03.009.027) შპს „ვაინ რუმისთვის" (ს/ნ: 404550703) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1100 (ათას ასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**